ავდნენ იუნონას (ბერძნული ჰერა) და ქმრებისაგან, ახლობლებისგან საჩუქრებს ლეზულობდნენ.

რაც შეეხება საქართველოს, დედის დღის აღნიშვნის ტრადიცია 3 მარტს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, ეკუთვნის. წელთა სვლასთან ერთად ეს დღე მეტ პოპულარობას იძენს და დედებისადმი, ქალებისადმი უდიდესი სიყვარულითაა გამოთბარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაკია საქართველო რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ-სახელმწიფოა, მონაწილეობს 8 მარტის – ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებშიც.

“დედავ! ისმინე ქართლის ვედრება! ისე აღზარდე შენ შვილის სული,/

რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან პრჩეს კვალი განათლებული”. – მოუწოდებდა ქართველ დედებს ილია ჭავჭავაძე.

“დედა გადამწყვეტია შვილების ბედობისა... ამიტომ საჭიროა, ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული შინ, ოჯახში და გარეთ – საზოგადოებაში, სთესდეს თესვს კეთილსა”. – წერდა ვაჟა ფშაველა.

“დედის ოქროს მზნადლო! ჩემო დამტყუებლო, მშვენიერო თეალებო!

შენამც დამაყრი მიწასა! უშენოდ ნუძე ვარ ცოცხალი? იმ ადგილის ჭირიძე, სადაც შენ მომავინდებ!

და ვინ მოსთვლის, ან სადღა მასსოვს? რა იქნენ, სად წაყიდნენ ეს საალერსო სიტყვები, ძველად ათასმა მაიომ რომ იცოდა საქართველოში?



რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად გავიძარცვინით, ხომ გეცევა უამსიტყვებოდ?  
რატომ არ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, შვილებსა და შვილიშვილებს?” – სწუხდა გიორგი ლეონიძე.  
3 მარტს საქართველოში დედის დღეს აღნიშნავენ.  
გილოცავთ, გილოცავთ, ძვირფასო დეებო!

# ლიბილი მისი საპიჯიჭო ბარათია

ნათია ნაცვლიძე

**ნათია თარგამაძე ერთ-ერთია იმ ღირსეულ ქალბატონთა შორის, ჩვენი სამტრედიის ქუჩებს რომ შევნიან. ღიმილი მისი საგმიტო ბარათია! ექიმ დერმატოლოგს ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მრავალწლიანი მუშაობის სტაჟი აქვს და მაღლიერი პაციენტების დიდი არმია ჰყავს! ნიჭიერი და მოთხოვნადი ექიმი არცთუ დიდი ხანია, ვიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოსტიტალის ქუთაისის სამედიცინო ცენტრშიც მუშაობს.**

მეოთხე საჯარო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე აკავი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა და დაფინანსებაც მოიპოვა. სწავლის დასრულების შემდეგ ჩააბარა რეზიდენტურაში, იყო კლინიკური საავადმყოფოს უმცროსი ექიმი. ამაყოფს, რომ დერმატო-ვენეროლოგ კოტე ცაგარეიშვილის მოსწავლეა: “კანისა და ვენერიულ სნეულებათა სფეროში ეს არის უძლიერესი და უცნობილესი ადამიანი, ასევე ვარ აღეკო კაცობის მოსწავლე. ბატონი ალექო დერმატო-ვენეროლოგიის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელია. ამ ორმა მასწავლებელმა უდიდესი გავლენა იქონია ჩემს პროფესიულ ჩამოყალიბებაზე. ექიმობა რატომ მინდოდა? თითქმის ყველა ჩემი ნათესავი ექიმაა, მგონია, დღეს დასაძრახი არ არის ექიმობა, თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ადამიანები, რომლებიც ექიმს უყურებენ, როგორც ვაჭარს. ერთ-ერთმა მიიხრა, თქვენ ვაჭრობთ ადამიანის ჯანმრთელობით, ადამიანებს არ აქვთ ამდენი თანხები მკურნალობისათვის”. – გულსტკივილით ამბობს ქალბატონი ნათია. რეზიდენტურის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ექიმად დაიწყო მუშაობა სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში. წლების შემდეგ მაღლიერებით იხსენებს ქალბატონ ციური (დოლო) ავალიანს. სიამოვნებით ივროებს პირველ სამუშაო დღეს: “უპატრონო მოქალაქე შემოვიყვანეს რეანიმაციამ და ვიდრე დავიხსნე დაეცვამდი, გაიყვანეს ქალბატონ მაყვალა გელეიშვილთან, ანუ, გააშუქეს. ხუთწუთიან თათბირზე, ვიდრე ქალბატონ მაყვალას კითხავდნენ ახ-

რს, მე მეთხეს: “რას იტყვით ამ პაციენტზე”, ვუპასუხე, რომ მას ჰქონდა კანის ტუბერკულოზი. ბუმბერაზი ქალბატონი იყო მაყვალა ექიმი, მან ბრძანა: აი, ნათია თარგამაძის პირველი სწორად დასმული დიაგნოზი! პაციენტს არამარტო კანის, ფილტვის ტუბერკულოზიც აქვს, ასე რომ, მოგილოცავთ, კოლეგებო, ნათია წარმატებული ექიმი იქნებაო. ასე დამილოცა გზა. ძველი საავადმყოფო რომ დაიშალა, წავედი “ბავშვთა საავადმყოფოში” ქალბატონ ქეთინო ფანცულაისთან, იქ დამხვდა შესანიშნავი კოლეგები, დიდი სითბო ვიგრძენი, თბილად მიმიღეს ამ ადამიანებმა, საკუთარი საქმის პროფესიონალებმა, ჩემი შვილი ავად რომ გახდებოდა, მზა ორავგელიძესთან მიმყავს. ამბულატორიუმში პროფილმა ვერ იმუშავა და იქიდან წამოსვლის შემდეგ კლინიკა “ხარებაში” ვმუშაობ.”

ნათია თარგამაძე არის დერმატო-ვენეროლოგია ას-

რებათა დოქტორის ხარისხს. “მალიან მაღლიერი ვარ ჩემი პედაგოგების, ამ ადამიანებთან მოხვედრა დიდი ბედნიერ-



ება და სიამოვნებაა და ეს ბედნიერება მხვდა წილად”. – კმაყოფილებას ვერ მალავს ჩვენი რესპონდენტი.

ოჯახი 30 წლისამ შექმნა, მეუღლე, ვალერიანე კობრეიძე დასავლეთ სარდლობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური განყოფილების უფროსი, წოდებით კაპიტანი. ჰყავთ შვილები, მარიამი წლის და ოთხი თვისაა, გიორგი პირველკლასელია და სწავლობს მეოთხე საჯარო სკოლაში.

ნათია ექიმი დედისა და ქალის მოახლოვებულ დღესასწაულებს ულოცავს ქალბატონებს: “მინდა ყველა ქალს მიულოცო ეს ლამაზი დღესასწაული, დედა ღვთისმშობლის ბოძებული დიდი საჩუქარია, ეს არის ძალიან დიდი ნიჭი და მაღლი, ქალი, დედა, წელიწადის 365-ივე დღეს მუშაობს, ეს ერთი დღე – 3 მარტი მასში დადებით ემოციებს იწვევს. ყველა ქალბატონს ულოცავ დედისა და ქალთა დღეებს. ყველაფერი ქალის ირგვლივ ტრიალებს, ქალი ოჯახის დედაბოძა, ქალი წაიქცევა, ოჯახიც წაქცეულია! ვინც დედა არ არის, უფალმა დალოცოს და დედა გახადოს, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებ ყველა დედას ამ ცულ ყოფაში!”

# რკინიგზელი ქალბატონები!

ჩვენი ფოლადის მაგისტრალის მრავალათასიან კოლექტივს არაერთი სახელოვანი რკინიგზელი ქალი ამშვენებს, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობაში. მათ რიცხვს, ვინც მრავალ წელიწადს ემსახურება თავის საქმეს, სამტრედიის ელექტროსამონტაჟო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ციციბო დღანიაძეა. რკინიგზის მე-14 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის სწავლას აგრძელებს ტექნიკურ სასწავლებელში ბუღალტრის სპეციალობით. რკინიგზელი მშობლების რჩევით მუშაობას იწყებს რკინიგზის საწარმოში მონაგარიშველ, მასალის ბუღალტრად, მთავარი ბუღალტრის მოადგილედ, ხოლო 2006 წლიდან მთავარ ბუღალტრად. რკინიგზის სისტემაში მუშაობის პერიოდში ქალბატონმა ციციბომ თავი გამოიჩინა როგორც სამაგალითო, დისციპლინირებულმა და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. იგი კეთილსინდისიერად და უმწიველოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო მოვალეობას. მას გააჩნია მაღალი პროფესიული დონე, გამოირჩევა სანიმუშო სამეცნიერებლო დისციპლინით. ქალბატონი ციციბო კოლექტივში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტითა და კოლეგიალურობის მაღალი შეფასებით, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და დამსახურებული ბუღალტრის მაღალი წოდება. ჰყავს მეუღლე, შვილი და შვილიშვილი. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის შედეგებით ელექტრო-სამონტაჟო სამმართველო დასახელდა საქართველოს რკინიგზის ელექტრომომარაგების დეპარტამენტის საუკეთესო კოლექტივად, აღნიშნულ წარმატებაში დიდა პირადად ციციბო დღანიაძის წვლილი.

მრავალი წელია ემსახურებიან საქართველოს რკინიგზას დასავლეთ რეგიონის საწარმოების: სალომომოტივოს, სავაგონოს, სალიანდაგო ელექტროფიკაციის, კავშირგაბმულობის, სადგური სამტრედიის, სატელეკომუნიკაციოს, ელექტროსამონტაჟო სამმართველოებში მომუშავე ქალბატონები: ნინო ყუბანიშვილი, მანანა ნადრადე, მზია სულაქველიძე, თამარ გაბუნია, ლამარა ქალდანი, ნინო კახაძე, ფატიმა კოპალეიშვილი, მარინა ლომსაძე, ლიანა კვაჩიეიშვილი, ციციბო ფესვანიძე, მზია კანკაძე, ნინო სესიაშვილი, ნარგიზა ტონია, ნინო არველაძე, მედიკო გეგია, ლუბა სემიონელი. ნანა სუთიძე, მალვინა დარსაველიძე, ნინო, ლიანა, ნანა კოპალეიშვილები. მაია ბაკურაძე, ვალენტინა, მაია ზაქარაძეები, რიტა თადემაძე, გიული ცაგურია, ნინო ჩალიგავა, სვეტა ნიბიჭინა, ქეთევან ნოღია, თინათინ მგელაძე, ნანი ანდრეიანი, ირმა ჩხეკვაძე, მანანა გაგუა, სილვა ბაგდასარიანი, მანანა, სოფიო კვაჩიეიშვილები, ელენე ვაშაკიძე, ნატო სიგუა, დოდო ინაური, ირმა ჩხაძე, ელენე ფახურიძე, მანონი მიქაძე, თამარ სანიცი, ეთერ ბარამიძე, ლეილა მარჯანიშვილი, გიული ბანძავა, ნელი ციციბაია, თამარ სტურუა, თამარ სანიცი, დარეჯან ველიშვილი. რკინიგზელთა სადარაჯოზე მდგარი ექიმები: ნანა ცირეკიძე, ირინა დოვაძე, დარეჯან ნინიძე, მარინა ფოფხაძე, მაგული წვერაჟა, ინდირა კვიციანი და სხვები. ულოცავთ მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ ცხოვრებასა და სიყვარულს!

რამაზ ზაბიძე



ოციაციის მუდმივი წევრი. ის ამჯერად სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობს, თემის ხელმძღვანელია კოტე ცაგარეიშვილი. წელიწად-ნახევარში დაიცავს დისერტაციას და მოიპოვებს მედიცინის მეცნიერ-

# პრაგმატიზმი და სასტიკი საყვარო ღაწით ღაგანისხეული

ნათია ნაცვლიძე

ნინო ჭიჭინაძის ლექსებმა მშობლიური სამტრედიის მედიტროს ველისაკენ წაგვიყვანა, მითხველითა უფრო ფართო მასშტაბის კი ნინოს წაგვიყვანა პირველმა პოეტურმა კრებულმა "სუცას გაიღვილი ლექსი" გაუგებლა. "წვრილი ვაუდის სიტყვას და თითს წამბრალი ბეჭედივით მეკარგებო", წუხს და თავმდაბლობს პოეტი. ყველაზე უცნაური კი არაპოპულარული ქალბატონის პოეტური ნატურაა. ნინო საბაუო ღებარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილეა. პროფესიით ექიმი, ეპიდემიოლოგი, ბიოტექნოლოგი სამი უღამაზესი შვილის დედა ამ აქაფებულ, თავბრუდამხვევ ყოველდღიურობაში პოულობს დროს, ლექსით უმკურნალოს სულის იარებს... "თოქე ათასი კონწილობს თურმე იუდა, არადა, რარივ ვაგვიყვებით უყვარდათ ქრისტიე..." – ესეც ახალგაზრდა ქალბატონის პოეტური განცდის თუ ესთეტიკის ნაწილია...



ას არასდროს მოვწვევტილვარ. ჩემი სახლი, ჩემი ხალი, ჩემი ქალაქი, სადაც ყველაზე მეტად ვარ ჩემი თავი, ეს – სამტრედიაა. ამჯერად თბილისში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

– როგორ დაიბადა პოეტური კრებულის გამოცემის იდეა?  
– წიგნის გამოცემის იდეა ვირტუალურ სივრცეში გამოქვეყნებულმა ლექსებმა შეეს – უცნობები და ნაცნობები, ნაცნობთა ნაცნობები მეხმაურებოდნენ და მიეხმებოდნენ, დამეხმებოდნენ, დამეხმებოდნენ. ფეისბუქსივრცეში დამეგობრებულმა ემიგრანტმა ქალბატონმა მიშუამდგომლა მწერალთან და შურნალისტთან, მარიანა თქეთუმანიძესთან

და "ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნეს რამდენიმე ლექსი. ამავე სივრცეიდან სრულიად უცნობი ჟურნალისტი, ნატა კობიძე შემიძღვა გამომცემლობა "ინტელექტი" და დაიბეჭდა ეს კრებულიც. ის გაფორმებულია ჩემი დეი-

ის, მაია ბიკაძის ნახატებით, მიენიჭა ISBN კოდი და 4 ევროპული ჩაბარდა საჯარო ბიბლიოთეკას. ეს პროცედურა კი თავისთავად ითვალისწინებდა ბიბლიოთეკაში წიგნების წარდგენას, წინასიტყვის ავტორები ფილოლოგები მაია ლორია და ნინო ტონია არიან. მაია ლორია რედაქტორიცაა ამასთან და სადამოსაცის გაუძღვა.  
წიგნის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2018 წელს.  
– ამ საოცრად არაპოეტურ დროში, როგორ ფიქრობთ, ლექსს ჰყავს მკითხველი?  
– როგორც ბრძანეთ, არაპოეტურია სამყარო, მე ვიტყვი, ერთობ პრაგმატიული და სასტიკიც. მაგრამ უნდა ვთქვა: შეუძლებელია, ადამიანს არ გააჩნდეს რაღაც შემოქმედებითი, რაც მას ჭიკაძარევით აკავშირებს უფლის წიადთან. მით უფრო მძაფრია ეს თვისება ქართულ სინამდვილეში. ბუნებით ხელოვანია ქართველი კაცი, ამიტომაც არ მივივრის, პოეზიის სიყვარული და სურვილი. ნამდვილი მკითხველებიც გვყავს, კარგი მსმენელებიც... პირადად ჩემი შემოქმედების ქომეტი და მესაინხველენიც, გარდა ნაცნობ-მეგობრებისა, შემთხვევითი მკითხველები არიან, სრულიად უცნობი ადამიანები.  
– ბოლო დროს შესანიშნავი თა-

რგმანებითაც გავგანებებო...  
– ჩემი მკითხველების დამსახურებაა კრებულიც. პოეზიის რამდენიმე სადამოსაც და ბოლოდროინდელი მთარგმნელობითი აქტივობაც.

თარგმანი ჩემი ახალი გატაცებაა, თუმცა ვფიქრობ, ამ საქმის იმდენი პროფესიონალი გვყავდა და გვყავს, სუბრობა არაა, მათ რიგებს შევუერთდე. რამდენიმე კონკურსში ვაბირებ მონაწილეობას, მითარგმნია ცვეტაევა, ახმატოვა, ახმადულინა, ესენინი.

– თქვენი დღევანდელი საქმიანობა შინაარსობრივად შორს დგას პოეზიასთან. შეიძლება არაპოეტურ გარემოში გეწვიოთ მუხა?  
– ჩემი ყოველდღიურობა რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა: ოჯახი, სამსახური, ყოფითი საზრუნავები... ჩემი მუხა ადამიანთა სიყვარულია, იმითი შეცნობისა და გადარჩენის სურვილი, ყველაზე დიდი ჯილდო კი ჩემთვის მადლიერი მკითხველია: ჩემს ლექსებში სარკესავით მზირალი და საკუთარი თავის მპოვნელი.

– მეუღლე რამდენად ინტერესდება თქვენი პოეტური ბუნებით?  
– მეუღლე, მამუკა გვეტაძე განათლებით ინჟინერია, საქმიანობით – ავტოსაქმის პედაგოგი, სულით და ხორციით იმერელია, ოურიბიდან. სამი შვილი გვყავს, ორი გოგონა და ერთი ვაჟი. 14 წელია, ვწვევით ცხოვრების ჭაპანს და მივუყვებით წუთისოფლის ოღრო-წოდროებს. წაივითხავს ხოლმე ჩემს ლექსს და გაიბრუნება... კრებულის გამოცემისას მორალურად და მატერიალურად მხარში მედგა. სხვა რა ვითხრათ, აბა... სიყვარულზე ხომ არ ვილაპარაკებ...  
"არაფერს დაწერე სიყვარულზე, უკვე დამწერეს მთებზე ნისლებმა, ნივარებში – მარგალიტებმა, ბოთლს ჩატეული წერილივით გამინაბირეს და ხრივ მქმენს შემატოვეს დროთა ზეირთებმა. არაფერს დაწერე სიყვარულზე, მზემ თქვას და მიწამ – გულგამოვლილი, ფერნაცვალი ტროფობის ტროპარი, მჭახე ჭახჭახით ჭილყავები სუსხავენ სისხამს და ამურს კრძალვით შეუთვლიან შესანდობარებს. არაფერს დაწერე, დაუწერულ ფიქრს და ზმანებას დედამწიდან იის კვირტიც ამოიყოლებს, დედა იმეკარი, მოიხდენდა სრულ მდუმარებას და გულის კედლებს ამოტვიფრულ მტყვევლ სტრიქონებს..."

– როგორც ცნობილია, ლექსების წერა სკოლაშივე დაიწყო, მოგვიყვით თქვენს შესახებ...  
– დავამთავრე სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლა, ამავე რაიონის დომენტი შანიძის სახელობის საშუალო სკოლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი (1995-2002) წლებში, ამავე ფაკულტეტის სამაგისტრო კურსი ეპიდემიოლოგიაში, (2002-2003) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიე-

გადასახედიდან თამამად ვიტყვი, დიდა საზოგადო მოღვაწე იყო: დამსახურებული პედაგოგი, ზნეობისა და განათლების მოუღალავი ქომეტი, სპეტიკი კაცი... მე და ჩემი ორი დაავო უძლიერესი და გმირი ქალბატონები: დედისა და ბებუის კალთას შევეფარეთ და ასე დავადექით ცხოვრების გრძელ გზას. შეიძლება ითქვას, გამომართლა: წინაბრები, მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები... ყველა მათგანის დიდი წვლილია, რომ დღეს ესა ვარ, რაც ვარ – ერთი წერტი-



რებათა ფაკულტეტის სამაგისტრო კურსი "გამოყენებითი ბიომეცნიერებები".  
1992 წელს მამა გარდაამეცვალა, თუმცა, დღემდე მხვდება მისი ნათელი კვალი ბევრგან, ძალიან ბევრგან... ბაბუაჩემი, ვალერიანე ჭიჭინაძე დღევანდელი

ილი შეუცნობელ სამყაროში... უნივერსიტეტი დავამთავრე და შინ დავბრუნდი, მერე კი ოჯახი შევქმენი და ქუთაისის ბინადარი ვავხდი, ბევრი ლამაზი მოგონება მაკავშირებს ამ მშვენიერ ქალაქთან, თუმცა, მშობლიურ სამტრედი-

## იოანე მახარაძე ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ნახევარფინალის გამარჯვებულია

ნათია ნაცვლიძე

ნოემბერში დაიწყო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ოლიმპიადის პირველი ტური მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ჩატარდა. მოსწავლეებმა შეკითხვებს ინდივიდუალურად, კომპიუტერთან უპასუხეს. სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე იოანე მახარაძე გადავიდა მეორე ტურში, თუმცა განსაკუთრებით მაღალ შედეგს გეოგრაფიაში მიაღწია. მან გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და ისტორიაში მიიღო მონაწილეობა და ოთხივე საგანში გადავიდა მეორე ტურში. პირველი სკოლიდან მეორე ტურში გადავიდა მარიამ სხვიტარიძე ხუთ საგანში, რევაზ ბოლქვაძე ორ საგანში, ანა ღვიზია ერთ საგანში, ანა რევიშვილი ერთ საგ-

ანში, ნათია კამეამიძე ორ საგანში.

იოანე მახარაძე: "მეორე ტური გაიმართა სამზაო არდადეგების პერიოდში, მინიმალური ბარიერები პირველი სკოლის მოსწავლეებმა ყველა საგანში დასძლიეს, თუმცა ფინალში გადასასვლელად საჭიროა, ბავშვი მოხვდეს საქართველოს 50 საუკეთესო მოსწავლეთა შორის, რაც ოთხმა პირველსკოლელმა მოახერხა. ერთმა – მათემატიკაში, სამმა კი, გეოგრაფიაში. მე მეორე ტურში თავდაპირველად მქონდა 30 ქულა (მაქსიმალური არის 40 ქულა) თუმცა, ჩანდა, რომ გასწორების დროს ბევრი და უხეში შეცდომა იყო დაშვებული, ამიტომაც, გაეაბრტესტე და 5 ქულა მომიმატეს. შესაბამისად, ავიღე 35 ქულა და საქართველოს მასშტაბით გავედი მეორე ადგილზე. ფინალში ამ პოზიციის შენარჩუნების შემთხვევაში მეძლევა შან-

სი, ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად, რომელიც ევროპულ ოლიმპიადზე იასპარეზებს. ჩვენს ქვეყანას ჰქონდა წარმატება მათემატიკისა და ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში. მომავალი მესამე ტური გაიმართება საგზაფხულო არდადეგებზე, 16 მარტს. მადლობას უხედი ჩემი სკოლის დირექტორს, ხათუნა ფაილაძეს, გეოგრაფიის პედაგოგს ზოია ჯანაშიას და თითოეულ პედაგოგს, ასევე, ყველა იმ ადამიანს, რომელიც მეუღმემატიკებოდა."

იოანეს თქმით, მას ოჯახის წევრები ეუბნებიან, რომ გეოგრაფიისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება ბავშვობიდან ჰქონდა. "ბები, მარინა ჯოჯუა, გეოგრაფიას ასწავლის ილორის საჯარო სკოლაში და სკოლა "ცოდნაში". ის იხსენებს ჩემი ბავშვობის პერიოდს, როდესაც სხვა საგნებში განათლება ასაკიდან გამომდინარე, არ მქონდა, ვცდილობდი, სიღრმისეულად მესწავლა გეოგრაფია. ასევე, გეოგრაფიის საუკეთესო სტუდენტა ბაბუა, ივანე მახარაძე, ის მეთერთმეტე საჯარო სკოლაში ასწავლის. ჩემი მშობლები, გიორგი მახარაძე და ნინო სტურუა ყველაფერს აკეთებდნენ, რომ უკეთ შემეწავლა ის საგანი, რომელიც განსაკუთრებით მიზიდავდა."  
წარმატებებს ვუსურვებთ იოანეს კონკურსის შემდგომ ეტაპზე!





# სამბრედიელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეება კვლავ გაბოხსარეს

ნათია ნაცვლიძე

ამა წლის 15-17 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი მასპინძლობდა საქართველოს ჩემპიონატს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრში, რომელიც ნიუ-თბილისის არენაზე გაიმართა, მონაწილეობას ლეგენდარული ააიპ სამბრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი “ფალაგანის” (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) მოჭიდავეები. 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში გია უღრელიძემ მეორე ადგილი დაიკავა, 88 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ჯიქიძე მესამე ადგილს დასჯერდა, ხოლო 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში ელგუჯა ბალანჩივაძემ პირველობა არავეს დაუთმო და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. სამივე სპორტსმენის მწვრთნელები არიან ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანიანი.



აღნიშნულ ტურნირთან დაკავშირებით “სამბრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში, ვეფხია სტურუას: “ ეს პრესტიჟული ჩემპიონატი გამოიჩინა მონაწილეთა მრავალრიცხოვნობით, აქედან გამომდინარე, კონკურენციაც საკმაოდ დიდი იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს, განსაკუთრებულად გამოვყოფდი 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ელგუჯა ბალანჩივაძეს, მას ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ძალიან კარგი სპორტული ბიოგრაფია აქვს: არის ჭაბუკთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი როგორც თავისუფალი, ისე ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში. მან აღნიშნულ შეჯიბრში 4 შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და ჩემპიონობაც გაინაღდა. ამ გამარჯვებით ელგუჯამ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის საგზური. ეს ჩემპიონატი იტალიაში ზაფხულში გაიმართება. უულოცავ ჩვენს სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილს და ზაზა არქანიანს, მათ მშობლებს, საჭიდაო კლუბი “ფალაგანის” წარმატებულ დირექტორს, ირაკლი მელაშვილს ამ გამარჯვებას და ვუსურვებ ჩვენს სპორტსმენებს, მომავალში არაერთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებულ ასპარეზობას.

ნათია ნაცვლიძე



## “დახმარებისა და ინტეგრაციის ლიგა” მორიგი საქველმოქმედო აქციით

თეა ბაგუჩაძე

ყოველი წლის თებერვალში კულტურის სახლის სცენაზე კონცერტს მართავენ, თანაც შეძლები-სდაგვარად ეხმარებიან მათ, ვისთვისაც ყურადღება ყველაზე დიდი საჩუქარია. თებერვლის იმ მონაწილეობის არაერთი მოხარული და მათი მშობლები ისხდნენ. საკონცერტო სანახაობა, რომელიც მათი დამხმარებელი ვრძობებით იყო გამოტანილი, დედის დღის აღსანიშნავადაც გაიმართა. რადგან მალე გაზაფხულია და მისი პირველივე თვე ქალთან ასოცირდება

ბა, დედებს იის კონი უთხრეს მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებმა.

არჩილ გოგბერაშვილი სულსხამდგმელი გახლავთ “დახმარებისა და ინტეგრაციის ლიგის”, რომელიც ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან ემსახურება ამ საქმეს. არაერთხელ აღნიშნა ბატონმა არჩილმა, რომ მას ეს საქმიანობა საკუთარი ბიძამეობის საღიმი სიყვარულმა და მონატრებამ ჩააგონა. ორივე მათგანი ცერებრალური დამბლით იყვნენ დაავადებულნი. სწორედ მათი სიყვარულის გამო კარგად ესმის არჩილ გოგბერაშვილს შეხვედრის შესაძლებლობების მქონე ადამიანების და მათი ოჯახის წევრების. აქვე ისიც, რომ როგორც ბევრი სხვა, ისიც თვლის, შეხვედრული შესაძლებლობები არ არსებობს!



ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ თუნდაც იმ დღეს, სცენაზე ორი შესანიშნავი შემსრულებელი იდგა, პროექტ “ნიჭიერის” გამარჯვებული ვანო ფიფია და არაერთი საკონცერტო ვიდეოს მფლობელი ვეკო მეფარიშვილი. შეხვედრულ შესაძლებლობებს სულაც არ შეუშლია ხელი მათთვის, საუკეთესოები ყოფილიყვნენ.

“დახმარებისა და ინტეგრირების ლიგა” ცდილობს, რამდენადმე გაუ-

ლაშხოს ამ ადამიანებს ტკივილიანი ბავშვობა. 21-ე საუკუნეში განსხვავებული, უფრო სწორი დამოკიდებულება მათ მიმართ და ეს მახარებს. კონცერტის მსვლელობისას მათ საჩუქრები გადაეცათ. მონაცემები “სახლი თანადგომას” და მისი ხელმძღვანელის, მხევიანარ ბოხუასგან ავიღეთ. გარდა ამისა, სამბრედიო არსებული ცენტრის, “ლაშხარის”, აღსაზრდელები დაგასაჩუქრეთ. ისინი 15 აღმოჩნდნენ, შესაძლებლობა გვექონ-

და და კიდევ 7 ბავშვი დავამატეთ.” – აღნიშნა არჩილ გოგბერაშვილმა. როგორც მან განაცხადა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურთან კომუნიკაციით, კონცერტში მონაწილე შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს, რომლებსაც სცენაზე დგომის სურვილი და შესაძლებლობები აქვთ.

“დახმარებისა და ინტეგრირების ლიგა” მსგავს აქციას ერთ წელიწადში კვლავ ჩაატარებს.

## წარმატებას მისურვებთ, გოგა!

ლევან ბაგუჩაძე

ამას წინათ, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, ჩვენი ყურადღება დახვეწილი მსჯელობით მიიპყრო და გადაწყვეტილი, მასზე რამდენიმე სიტყვა გვეთქვა.

გოგა ქათამაძე ნაბაკევის საჯარო სკოლის მე-12 კლასელია. 6 წელია, წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის სახელობის კულაშის ტაძრის სტიქაროსანია. მამა რომანოზი (ნიწუა) ვახლავთ ღრმად მორწმუნე ახალგაზრდის მოძიებარი.

აუცილებელია ითქვას, რომ ხონი-სამტრედიის ეპარქიაში თითქმის ყველაზე გოგასა და მისი მეგობრის გიორგი დუნდუას მიერ დამზადებული სეფისკვერები იყიდება. მამა ზურაბმა (ბუაძე) შემასწავლა სეფისკვერების ცნობა. – გვეუბნება იგი.

ილია, ტერენტი გრანელი, ნოდარ დუმბაძე მისი საყვარელი მწერლებია. ფუნქციონალური ტერენტი გრანელი. საოცარია თავისი განსხვავებული იუმორით ნოდარ დუმბაძე, ამბობს და საზღვარგარეთულ მწერალთაგან უპირატესობას დოსტოევსკისა და ფაქირ ბაქურთის ანიჭებს.

თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველი უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გახლავთ. მისი ყოველი სიტყვა და ქადაგება გასათვისებელი და გასათვალისწინებელია, – აღნიშნავს რესპონდენტი.

გოგას ახალგაზრდა მამა გარდაეცვალა, უბრალო დამთხვევით, მამის გარდაცვალებიდან მე-7 წლისთავზე რომ შედგა ჩვენი საუბარი. გამორჩეულად მნიშვნელოვანი და პატივსაცემი ჩემთვის დედა, სოფიო ჯინჭარაძე-ქათამაძე, რომელიც 7 წელია, ვველაფერს აყოფებს, მე და ჩემს დას უძამობა, არ გვეგვრძობინოს. – პატივითა და სიყვარულით საუბრობს დედაზე გოგა.

სპორტის სახეობებიდან უპირატესობას რაგბს ანიჭებს. სურვილიც გაგვიჩილა, რაგბით მინდა დავეკავებ მომავალში. პოპის ღონეზე კალათბურთიც იტაცებს.

მომავალ ისტორიკოს-არქეოლოგს საკუთარი შეხედულებები აქვს სკოლასა და განათლების სისტემასზე. თუ ბავშვი მონდომებულია, ნებისმიერ სკოლაში შეუძლია მიიღოს ცოდნა, – ამბობს ის და სამადლობელს არ იშურებს ნაბაკევის საჯარო სკოლის პედაგოგებისადმი. განსაკუთრებით სკოლის დირექტორის, ეკა ჯამბურაის შემატებულ საუბრობს. ყველა ღონისძიების მომზადებისას მხარში გვიდგას ქალბატონი ეკა.

წარმატებებს ვუსურვებთ გოგას.



# წაგებულ ბნობოლოში მაინც პრიზიციის გვერდით ცეცხლს ვაწვდივით!

ნათია ნაცვლიძე

**ამ ქალაქში ძალიან ბევრ ადამიანს შეუძლია ეროვნული მოძრაობის წლებში მის მიერ გამოჩენილი კაცობრივი ვაიხის-ენოს. სამტრედიამ, როგორც ქვეყნის პოლიტიკურად აქტიურმა ქალაქმა, უმძიმესად გადაიტანა სამოქალაქო ომი, ძმ-ათამყვლელო დაპირისპირება. კანონიერი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების ერთგულება არაერთ სამტრედიელს დაუჯდა ძვირად. არც უმ-აგი სისარულიძეა გამონაკლისი. ჩვენი რესპონდენტი გულწრფელი მოსაუბრეა, იგი ტყვილით იხსენებს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს პერიოდს.**

**– ბატონო შმაგი, როგორ აღმოჩნდით ეროვნულ მოძრაობაში?**  
– ეროვნული მოძრაობის ლიდერების, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას შესახებ შორიდან მსმენოდა. ჩემს ერთ-ერთ მეზობელთან ერთად ციხეში ყოფილა მერაბ კოსტავა. 1989 წელს ის სამტრედიას სტუმრობდა და მას რამდენიმე სამტრედიელი დახვდა, რომლებიც მასთან ერთად ციხეში იმყოფებოდნენ. მერაბი მათ ძალიან თბილად შეხვდა. პირველი წარმოდგენა მერაბ კოსტავაზე სწორედ ჩემი მეზობლის მონათხრობით შემექმნა. ვმონაწილეობდი კულტურის სახლთან გამართულ საპროტესტო აქციაში, რომელიც საბჭოთა ჯარში ახალგაზრდების არგაწვევის მოთხოვნით გაიმართა. 1989 წლის 9 აპრილის აქციის დარბევას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოჰყვა საპროტესტო ტალღა, მეც ასე აღმოვჩნდი სამტრედიამო სამპროტესტო აქციაზე. მაშინ 20 წლის ვიყავი, გავიცანი ზვიად ძიძიგური, ზაზა ადვიშვილი, სოსო შუბლაძე და სხვები. ყველა საპროტესტო აქციაში მიმიღია მონაწილეობა, რაც კი გამართულა. ყველაზე მასშტაბური და შედეგანი რეინციხის გადაკეცივის აქცია იყო, რომელსაც საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები მოჰყვა. 1991 წელს მოგვიწია სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში პატრულირების მიზნით წასვლა ეროვნული მოძრაობის წევრებს. ეს ის პერიოდაა, როცა ზვიად გამსახურდიას უხედავად საბჭო ახლადარჩეულია, ზვიად ძიძიგური კი პრეფექტია და იმავდროულად, უხედავად საბჭოს დეპუტატია. იქ თითქმის მთელი ზამთარი ვპატრულირებდით და ვიცავდით ქართულ მოსახლეობას. ამის მერე იქ რუსი სამშვიდობოები ჩადგნენ. ზემო და ქვემო ნიქოზიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე თავდასხმა მოხდა სამტრედიის პრეფექტურაზე, სურდათ ვითარების არევა, “მხედრონის” და “ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას” საერთო ინტერესები ამოძრავებდათ, დედის ძეგლის მხრიდან რამდენიმე პლაკატიანი ადამიანი დაიძრა, ოცამდე იქნებოდნენ, უნდოდათ პრეფექტურაში

შემოსვლა და ზვიად ძიძიგურის ოთახის კარის აჭედვა. ჩვენმა თანამებრძოლებმა ამის უფლება არ მისცეს, რასაც იმათი მხრიდან სროლა მოჰყვა. ჩვენ დავიცავით შენობა, დაიჭრა გზაზე გაშვებული. ინციდენტი ამით ამოიწურა, ამას მოჰყვა თბილისიდან თემურ ქორიძის ჩამოსვლა მოლაპარაკების მიზნით. დასვლეთ საქართველოს “მხედრონის” წევრებმა და ჩვენმა თანამებრძოლებმა სამტრედიამო დაალოგი გამართეს, ამით ინციდენტი, საბედნიეროდ, ამოიწურა.  
– იფავით სამტრედიის 24-ე ბატალიონის წევრი?  
– დიახ, ეროვნული გვარდიის სამტრედიის 24-ე ბატალიონი რომ შეიქმნა (მეთაური თამაზ ესებუა) აქ ვიყავი სხვა მეგობრებთან ერთად, კულაშში, ზოო-ვეტის ყოფილ შენობაში იყო ბაზირებული ჩვენი ბატალიონი, ვვარჯიშობდით, დებულობდნენ წვევამდებლებს... ძალიან ძალიან თენგიზ კიტოვანი აღარ ემორჩილება გამსახურდიას, გვარდიის ნაწილი გაჰყავს კასპის რაიონის ერთ-ერთ სოფელში და პრეზიდენტს და უმორჩილებლობას უცხადებს. ჩვენ ვრჩებით პრეზიდენტის მომხრეებად, დედაქალაქში იწყება დიდი საპროტესტო აქციები...  
– ცნობილია, რომ რამდენიმე სხვა სამტრედიელთან ერთად ბოლომდე იცავდით უხედავად საბჭოს შენობას...  
– სულ მარტო დარჩა ზვიად გამსახურდია ყველასგან გარიყული, უხედავის საბჭოს შენობაში ვიმყოფებოდით. ე. წ. ბუნერში ვათევდი დამეს, ჩემთან ერთად იყვნენ სამტრედიელები ბიჭვოლი ანთიძე, კობა ძიძიგური, ზვიად ძიძიგური, ზაზა კაკაბახიძე, ამირან ხუჭუა, გაა მესხი, შალვა ცინცაძე, ვეფხია ხუჭუა, მაღლაზ ბენდელიანი... ჩვენ გატყობიერებული გვექონდა, რომ ყოველ წუთის შეიძლება მოვეკალით, მაგრამ წაგებულ ბრძოლაში პრეზიდენტის გვერდით დგომა მაინც ვარჩიეთ! მასხოვს ასეთი ეპიზოდი: დაჭრილები იყვნენ შემოსაყვანი შენობაში, დახმარება რომ გაეწიათ, ზვიადი ელაპარაკებოდა, იმათ, ვინც გარეთ უნდა გასულიყვნენ, პირველი გადასახა მათ. ის სხვა კაცი იყო... მასხოვს გამსახურდიას სახე მაშინაც, როცა მას ულტიმატუმი წაუყენეს, დაეტოვებინა ქალაქი, პირობა იყო, რომ ცეცხლი არ გაიხსნებოდა, მაგრამ სიტყვა არც ამჯერად შეასრულეს. პრეზიდენტის მომხრეებით დატვირთული რამდენიმე “ყარუსი” უნდა გაეტარებინათ, ერთ-ერთში ჩვენც ვისხედით, “ყარუსი” მოდიოდა ჩვენს უკან, რომ გაგვასწრო, რამდენიმე მეტრი ჰქონდა გავლილი, რომ ესროლეს ხელყუმბარა და აუტობუსი ბოძს შეეჯახა, უამრავი ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა. ეს მეტყვის ტაძრის სახელოვან მოხდა, სამინელი არეულობა, პანიკა გამოიწვია. გზაც ჩაიხურა, სამტრედიელები ყველანი გადმოვივით, დაჭრილები გადმოვიყვანეთ, ამის მერე აზრი არ ქონდა გაჩერებას, ზვიად ძიძიგურმა გვითხრა, მე პრეზიდენტს გავყვები და თქვენ თქვენს თავს მიხედეთ, სროლა არ შემწყდარა, ხალხი უსუსურობის, უმწყობის განცდამ მოიცვა... ჩვენ, სამტრედიელები მეტყ-

ვის ეკლესიის ქვემოთ ჩავედით, მტკვრის გასწვრივ კედელს გავყვით, ჩვენი გამოჩენა სამიში იყო, მთელი დამე ვიარეთ, აღმოვჩნდით თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამირან ხუჭუას კანტუსია ჰქონდა მიღებული, სიარული ვერ შეძლო, საბედნიეროდ გზაში უცნობი ექთანმა ქალბატონი შეგვხვდა და იმან შეიფარა. ორი დღის სიარულის მერე გავაჩერეთ მანქანა და სოფელ თიანეთში ერთ-ერთ ოჯახში აღმოვჩნდით.  
– ამ დროს ოჯახებს გარდაცვლილები ჰქონიხართ?  
– ალბათ, ზოგს ასე ჰქონია. იმ ოჯახის წევრების გვარიც კი არ მახსენდება, შეგვიფარეს რამდენიმე დღით, მერე ნაწილ-ნაწილ წამოვივით, დაგბრუნდით სამტრედიამო, აქ ჯერ კიდევ ჩვენი ხელისუფლება იყო, ავთო ადვიშვილი ასრულებდა პრეფექტის მოვალეობას, ზვიადი ერევანში იყო გადახვეწილი. აქ ჯერ არ არის შემოსული “მხედრონი”, მოჩვენებითი სიმშვიდეა, დამაბულობა... ოჯახებმა გაიხარეს ცოცხლები რომ გამოვჩნდით, ჩვეულებრივად გამოვდივართ გარეთ, სამტრედიის პრეფექტურის შენობაში შექმნილია ხელისუფლების მომხრეთა შტაბი, სადაც მიმდინარე მოვლენებზე ვეცნობით ინფორმაციას, სამტრედიის ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი თანაგვიფარებოდა, მორალური მხარდაჭერა გამოგვიხატეს გენო გეგუშიძემ, ოთარ შანიძემ, შალვა გოგავამ... იანვრის ბოლოს, ერთ დღესაც გვარდა და “მხედრონი” სამტრედიამო შემოვიდნენ. ჩვენ, ბუნებრივია, მათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდით. ზოგი მალვამო იყო, ზოგი თავს არიდებდა. მე ამ დროს სახლში ვარ, არ გამოვდივარ, დამიბარეს “მხედრონიელებმა”, მძებმა ვამპოქებოდა პოლიციის შენობაში. ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით. იარაღი თუ გაქვს, ჩავგაბარეთო, მითხრეს. მე უუთხარი, იარაღი არ მაქვს-თქო, რაიმეში არ ჩაერთო, თორემ ვერ გიმელოთო, გამაფრთხილეს... შიგადაშიგ მაინც ვატარებდით საპროტესტო აქციებს, ესენი მოცივდებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ გ-


იმეტებდნენ. ხან დაგვემუქრებოდნენ, ხშირი იყო შემთხვევები ზოგ ჩვენს თანამებრძოლს ოჯახში მიუვარდნენ და ისინი რომ არ დაუხვდნენ, შშობლებზე იძიეს შური, არადა, მათი გამოძევვარი ზაჭაპური არაერთხელ მიურთმევიათ... აწ განსვენებული ავთო ადვიშვილი, ომარ ჯოჯუა და გაა მესხი ჰყავდათ დაპატრონებული “მხედრონიელებს” ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე. მე მსგავსი ნაცემი კაცი არ მინახავს! ავთო საავადმყოფოში ვინახულე. მეც მომავითხეს სახლში, მაგრამ სტადიონზე ფეხბურთის მატჩს ვესწრებოდი და გადავრჩი, იქაც მომავითხეს, მაგრამ მამაჩემის მეგობარი, აწ გარდაცვლილი სულგონინუა მოვიდა ჩემთან, მითხრა, რომ სამიშროება შელოდა და მანქანით სასწრაფოდ წამიყვანა, გადაამალა მელაურში ახლობელთან ერთი კვირით, ვიდრე კახეთის “მხედრონიმა” თავის უფროსი გელა გოდერძიშვილითან ერთად არ დატოვა ქალაქი. ეს “მხედრონიელები” ტაქსებით დადიოდნენ ქალაქში. აყაჩაღებდნენ მოსახლეობას და შიშის სინდრომს თესდნენ ხალხში. იმხანად გარეთ არ უშვებდნენ შშობლები შეღებებს, ახალგაზრდებს არიდებდნენ მათ.  
– ეს ეროვნული სირცხვილიც გადაილახა, როცა აფხაზეთის ომში სამშობლოს ინტერესების დასაცავად ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდით დაპირისპირებული-აღმისული ძმები...  
– აფხაზეთის ომის დროს კიტოვანმა და ეროვნული გვარდიის ხარდალმა ლოთი ქობალიამ მიადწიეს შეთანხმებას, რომ აფხაზეთში მიმდინარე სამარ მოქმედებებში ჩვენი საჯარისო ნაწილები ერთობლივად მიიღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ ერთად აღმოვჩნდით ტამიშის ოპერაციის დროს. იქ ბრძოლაში დავევლეუბა კირილე რევიშვილი, მე და ზაზა კაკაბახიძე სხვა პოზიციებზე ვიმყოფებოდით, ჩვენ რომ შევეუერთდით სამტრედიელებს, კირილე უკვე გამოყვანილი ჰყავდათ პოზიციებიდან. იქ დაგვეკარგა მასთან ერთად მყოფი მერაბ ბუაძე, მისი საფლავი, სამწუხაროდ, არ გვაქვს (ჩვენი დავამკვიდრეთ ტრადიცია – აღდგომის მეორე დღეს ყველა თანამებრძოლის საფლავზე გავდივართ.) ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ბედის მონასტერთან პოზიციებზე ვიდევით სამტრედიელები, გურია-იმერეთის ბატალიონის წევრები (ახლახან გარდაიცვალა ბატალიონის მეთაური, სოსო უდუნტი). პოზიციური ბრძოლები წარმოებდა. მერე დაგბრუნდით სამეგრელოში, ზუგდიდში, იქიდან ნელ-ნელა მოვიწვედით ხობში, სენაკში მოვედით ცხენისწყლის პირას, კანონიერი ხელისუფლების აღდგენას ვაპირებდით.  
– ცოტა რომანტიკულად არ გამოიყურება დღევანდელი გადასახედიან თქვენი მაშინდელი გადაწყვეტილება?  
– დღევანდელი გადასახედიან

შემიძლია ვთქვა: უშიშროებამ იმუშავა, რომ ჯერ ჩამოეყვანთ საქართველოში და მერე ადვილად მოეშორებინათ ზვიად გამსახურდია. გამსახურდიას თვითმფრინავი სენაკში დაეშვა ჩქინეთიდან, დიდი მიტინგი იყო, ლამის მოელმა საქართველომ იქ მოიყარა თავი. თავისთავად, ფაქტობრივ ჩვენი სიცოცხლის გადაჩენის საკითხი დადგა, ყველა მხრივ შეგვავეწროვეს როგორც შევარდნადის ხელისუფლებამ, ისე რუსებმა. გენერალ ბალტინის რაზმები შემოიყვანა შევარდნაძემ და დაგვიშინეს ტყვეა...  
– რას ეტყვიან ახალ თაობას, სამოქალაქო ომი ძმთა შორის რომ არ განმეორდეს?  
– ჩვენ ზვიადისტებს გვეძახიან, სიმართლეს რომ ვამბობთ, ალბათ, იმიტომ. ბრმად არ დამიჭერია მისთვის მხარი, ვიცავდი კანონიერი ხელისუფლების ინტერესებს და ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას! მოვლენებს ამ გადასახედიან რომ ვაფასებ, მრცხვენია, რომ ქართველებმა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იარაღი ავიღეთ ხელში, ამით დამარცხებული დარჩა საქართველო და მოგებული მტერია!  
– სამოქალაქო დაპირისპირების დროს არ მოგიწიათ ქალაქის დატოვება?  
– 1993 წელს, ყველანიად რომ შეგვავეწროვეს მე და რადი შენგელია, მისი ცოლის ნათესავებთან მე სტამბოლში გავიხიზნეთ, ასევე გაა სტურუა. რადის სიდერმა მამის გარდაცვალების ამბავი ჩამოუტანა და წამოვედით, გზაში ვინმეს რომ გავეჩერებინეთ, სარისყო იყო. უპასპორტოები ვიყავით, ვინმეს რომ ვეცანიო, ტყვიით სიყვდილი არ ავცდებოდა. საბედნიეროდ, ღმერთს არ ვყოლივართ განწირულნი, ჩამოვადწიეთ. ვიასთან სოფელ მარანში, მერე წავიდა ბათუმში, სადაც უფრო დაცულად ვიგბრებინი თავი. ბათუმში ერთი ჩემი ახლობელი, ხარაგაულის ყოფილი პრეფექტი, ჩვენი ძველი თანამებრძოლი თეიმურაზ ყურავა შეგვხვდა (ამჟამად მამა თეიმურაზი). მან მითხრა, წამოდი, ხულოში ეკლესიას ვამუშავებო და რასაკვირველია, გავყვები. პირველი ეკლესია ხულოში ჩვენ ავაშენეთ. ხულოში გავიცანი ჩემი ყოფილი მეუღლე, გვყავს ორი გოგონა, ერთი შვილიშვილიც მყავს, უმცროსი შვილი ჯერ სტუდენტია.  
კიდევ ერთ ისტორიას გავიხსენებ: 1993 წლის მაისი იყო, ანაკლიაში ბატალიონის წევრები ერთად ვიყავით, აქ, სამტრედიამო, ჩვენი ხელისუფლების მომხრეები ატარებდნენ საპროტესტო აქციას. ჩემი ძმა, ნიკოლოზი გამოსულა კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე პურის საყიდლად, ვანის და ახლომახლო რაიონების “მხედრონიელები” იქ ყოფილან. ვილაცამ მასზე ანიშნა თურმე, ეს შმაგაო, ძმები ერთმანეთს ვგავართ, მიჰყავდათ “მხედრონიელებს”, ან ცემდნენ, ან მოჰკლავდნენ, დედაჩვენი მივარდნილა და უთქვამს, ეს არ არის შმაგო, მილიციის იმჟამინდელმა უფროსმა, ზურაბ ნიკოლიძემ ივაჟაკაცა თურმე, ლამის ხელიდან გამოვლიჯა “მხედრონიელებს” ჩემი ძმა და დადარჩინა სიყვდილს.



– ამ დროს ოჯახებს გარდაცვლილები ჰქონიხართ?

# “საჯავახოს მთავის მადლით გაზრდილი”



რასაც რომ უნაწილებ. შენ სამუშაო ოთახში ექვთიმე თაყაიშვილის სათაყვანებელ სურათს მათი სურათიც რომ ამ შენებს; ეს შენ გამოხსნის როგორც კაცს, ლაზარის გამაგებებს და რას მიქვია ოთხმოცი წელი!

იცოცხლე დიდხანს, ჩემო აკაკი! მიხარია, რომ შენი სტუდენტი მეც ვიყავი, მიხარია, რომ შენი ჭაღვჭაღვში ერთ დროს თურმე შენც გირბენია და გილოცებოდა. ერთ დროს მეც იქ დაგვრბოდი. რიონის ტუტე მეც მიწოვია და მიხარია, საჯავახოს მთავის მადლი სულ მუდამ რომ გადგას და საქართველოს მთებს ასე დიდებულად რომ უერთდება.

იცოცხლე დიდხანს, იცოცხლე, ქართული სიტყვის დიდო მესვეტე!

1967 წ.

დიდი ქართველი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს სოფელ ნოლაში (გურიის მაზრა), ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტი. ბატონმა აკაკიმ 100 წელი იცხოვრა, დიან, იცხოვრა კაცურად, ღირსეულად, როგორც პიროვნება და ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა მესაძირველემ.

ბატონ აკაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია კავშირი თავის ძირძველ ფუძესთან და თანასოფლელებთან.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საერთო-სახალხო ზეიმით აღინიშნა მეცნიერის 90 წლის იუბილე, როგორც დედაქალაქში, ასევე, მშობლიურ რაიონსა და სოფელში. ვამაყობთ, რომ ურთიერთობა მქონდა (და არა მარტო მე) მასთან და მის დიდებულ ოჯახთან. მინდა, ჩვენ, სამტრედიელებმა, ბოლომდე გავითავისოთ ბატონი აკაკი შანიძის ფასდაუდებელი ღვაწლი სწორედ ისეთი პათოსით და გულისმიერ სიყვარულით, როგორც ეს ჩვენი სათაყვანებელი მეცნიერის 80 წლისთავთან დაკავშირებით თანამემამულე მწერალ-აკადემიკოსის, დემა შენგელაიას, მისალოც წერილში იკითხება. მკითხველს ვთავაზობთ მილოცვის სრულ ტექსტს.

ნათია კალაშნიკი

## აკაკი შანიძე (მილოცვა)

ძვირფასო კაცო! კაცურო კაცო! ხე-ღაცა, ჩემო, ამდენ ჯაფაში, გარჯილობაში ეს დალოცვილი ოთხმოცი წელი როგორ ჩუმად წამოგპარვია. კიდევ ამდენი წელიწადი გეტარებინოს ასე მსუბუქად, ასე ბარაქა-მადლიანად, ჩემო აკაკი!

ათონელები, სინელები და შავთელელები ხომ შენსავით კაცები იყვნენ. მთელი სიცოცხლე იმითაც ხომ ქართულ

ღმერთისთვის – ქართულ სიტყვისთვის ჯაფაში ისე შემოსცვეითათ, რომ “პირველითან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი”, – ხშირად შენი ნათქვამი მგონია ხოლმე.

ჩვენებური ანდაზისა არ იყოს: კაცმა რამდენი ხელობაც იცის, იმდენი კაციაო. შენი შრომების ანალიზი სხვამ აკეთოს და მე კი ჩემდა თავად ვიტყვი, რომ შენს დიდ ამავს, შენს ღვაწლს ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს ვერ დაივიწყებს.

როგორც ყოფილ გიმნაზიელს და სხვა ეპოქაში დაბადებულს, ჩემი ენის მადლი, ბარაქა და ყდრიც სულ სხვანაირად მიგრძენია და როდი ვიცი, – განვიციდი, რომ პირველი ნამდვილი გრამატიკა შენ შექმენი. ამ შრომაში შენ ყოველ სიტყვას მებაღესავით ესათუებ, ძირ-ფესვს უსინჯავ, რწყავ და ახარებ. პირველი ქართული სინტაქსის შემქმელიც შენ ხარ, ქართული ფრანზის ყოველ აბრუნდის მესაიდუმლე შენ ხარ. შენ ხარ, ქართული ფრანზისგასავის და

## მინიმები

დაბადებამდე გამომცადეს ცის ვარსკვლავებმა, მხოლოდ დიმილი უფლის ხელში მიპოვნეს, ვიდრე ჰაერზე ვით უნიჭო მოსწავლესავით და დედა ჩუმად მკარნახობდა სიცოცხლეს... დაბადებამდე გამომცადეს ცის ვარსკვლავებმა...

\*\*\*  
ალბათ, რა ტკბილი გრძნობაა მამობა, თითქოს ცა ხარ და ეფარები ქვეყანას... გინდა გაზაფხული და გინდა ზამთარი, გინდა აკორაჟო თოვლმზეში თამარი... ღმერთი გიტყვარდეს საგულეში და გენთოს კერძაზე დადარი.  
ალბათ, რა ტკბილი გრძნობაა მამობა, აბა, უკეთესი სად არი?..

\*\*\*  
ყვავილებით სავსე პატარა ეზო, დაფენების შუაში ხის ძეგლი ოდა. და ეზოს ბაღში მოხუცი ცოლი ეფერებოდა მეუღლეს ისე, თითქოს ცდილობდა, პირველი კოცნა ლოყებიდან არ ჩაგარდნოდა...

\*\*\*  
წყაროს წყალს კიარ სვამდა, მაგალანელივით უფალს ტერფებს უკოცნიდა...

\*\*\*  
ახალგაზრდობა სიბერის გვირაბში შედის და აყენის ახალ საღურში ჩერდება...

\*\*\*  
გაზაფხული სხვა რა გვინა აბრილი რომ წვიმას დალევეს და ცას დააყოლებს... მერე მზე რომ ქალიშვილივით ჩაივლის და ენძილები ვაჟებივით თვალს გააყოლებს, ესაა გაზაფხული...

\*\*\*  
სიბერე თმაში მეტყვის ძველი სახლებივით შემეპარა მზეზე გათანგულ სიტყვში დედის ფიჭვის ჩრდილმა შემიფარა მეტი რა მინდოდა? თმაში სიბერე და ა. შ...

**გაზაფხული**  
თოვლი გათხოვდა და ტყემლის ტოტებზე საქორწილო სუფრა გაიშალა...

ნათია კალაშნიკი

## თარიღი

# ეწრელი გენერალი

## ლევან ზაბუჩაძე

სოფელ ეწერში დაიბადა. 15 წლის ასაკში მიიღო შრომითი ნათლობა, მუშაობდა ელმავლის მეძანქანის თანამემუწედ ჯერ თბილისში, შემდეგ კი – ხაშურსა და სამტრედიისში. 1939 წელს წარმატებით დაამთავრა ლენინგრადის ფრუნზეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი, სასწავლებლის ხელმძღვანელობის მოთხოვნით ნიჭიერი ახალგაზრდა იქვე დატოვეს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აკაკი ზამთარაძე ლენინგრადის დაცვის მონაწილე ხდება. მან მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში რკინიგზის საჯარისო შენაერთებთან ერთად. განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა უფროსმა ლეიტენანტმა ზამთარაძემ ბელორუსის შეტევაში ოპერაციებისას, მონაწილეობდა ბერლინის აღებისას წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

ბატონმა აკაკიმ 1954 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია, რის შემდეგაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში სამხედრო თანამდებობები ეკავა.

1970 წელს მიენიჭა გენერლის მაღალი წოდება. თადარიგში გასვლის შემდეგ წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრას და მთელ მის ცხოვრებასეულ და მხედრულ გამოცდილებას უმურველად უზიარებდა ქართველ ჯაბუკებს. გენერალ ზამთარაძეს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე უახლოესი ურთიერთობები აკავშირებდა მშობლიურ სამტრედიასთან, სოფელ ეწერთან და ეწრელებთან.

კანონიერად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ იმ ადამიანთა შორის, ვინც კაცობრიობის სასარგებლოდ გადაწყვიტა მეორე მსოფლიო ომის ბედი, ჩვენი თანამემამულე, გენერალი აკაკი ზამთარაძეც გახლდათ.

100 წელი სრულდება გენერლის დაბადებიდან.



## ლომინტი გომიტიძის გახსენება

ჩემო საყვარელო მამიკო 23 თებერვალი შენი დაბადების დღეა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა წახვედი და გაღაინაცვლე მარადისობაში.

მეამაყება, რომ შენ იყავი ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საბავშვო პოეტი. და, რაც მთავარია, ღირსეული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, საოცრად მზრუნველი ბაბუა და ჩემი დიდი მეგობარი.

შენი მეგვიდრე ბაჩანა ჩაბრაძე ცნობილი მთარგმნელი და არაერთი წიგნის ავტორია. იგი ამავდროს წინაპრის განვლილი გზით და ცდილობს, თავისი შემოქმედებით, ხალხთან ურთიერთობით, ბაბუის ნამდვილი მეგვიდრე იყოს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო მამიკო!

ნათია კალაშნიკი



### ბატონ კახი კალაშნიკოვი!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფალი გმეგზურობდეთ!

*“სამტრედიის მაცნე”*



წარმატებულ სპორტსმენს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. *კახი კალაშნიკოვი*



“რუსთავი 2-ზე” გადავრთვე, დავინახე ესენია, მთელი ღამე არ გვაძინებს გაბუნია, ბესელია.

### გულოცავთ!



#### მკა სანიძო!

გილოცავთ, ჩვენო მკა, დაბადების დღეს, უამრავი ღამეა თებერვალი შემობრძანებულიყოს შენს სამყაროში! გაზაფხულის სხივოსანი სითბო და სურნელი არ მოაკლდეს შენს გზა სავალს! ისარე ღამეა ოჯახთან ერთად! გვარავდეს უფალი!

*“სამტრედიის მაცნე”*

#### ღამეი წასარქმის!

სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, დიდხანს არ მოგვძლოდეს შენი სითბო, მზრუნველობა და თანადგომა.

*ოჯახი*



#### მალბატონ ცისანა მოვალეობი!

ჩვენს შეილებზე მზრუნველ ღვაწლმოსილ პედაგოგს სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღესა და ქალთა დღესასწაულებს. ისარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახთან ერთად, ჩვენო ცისანა მასწავლებელი!

*ნაბაკოვის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კოორდინატორი*

### “ტყედიციუდა ავაფიხიდეუ საქიხთველისა და სამტყედიის ძიომა”

“ელვა დეკემა. 17 თებერვალი. 2019 წელი სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და კომპლექსური სპორტსკოლის ხელმძღვანელებს. ბრახილიის ქალაქ სოროკაბა ულიში სამტრედიის დროშა ფრიალებს. ჩვენ გავიმარჯვეთ. მარიამ გოგიტაურმა მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა”. – ამ სასიხარულო ამბავს სენსეი მიხეილ ქანთარია სოციალური ქსელით სამტრედიის დაბრუნებად ავრცელებდა.

2019 წლის 17 თებერვალს ამერიკის კონტინენტზე სამტრედიელმა კარატისტებმა სამტრედიის დროშა ააფრიალეს. კიოკუშინკაი კარატეს კლუბის წევრი მარიამ გოგიტაური 20 თებერვალს მწვრთნელთან, სენსეი მიხეილ ქანთარიასთან, ერთად სამტრედიის გამარჯვებული დაბრუნდა. ბრახილიაში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატში მე-2 საპრიზო ადგილზე გასულს რეინიგის ვაგზალზე კლუბის წევრები და გულშემატკივრები დახვდნენ. დამხვდურთა შორის იყვნენ ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი, ბელგიის თასის მფლობელი, სომხეთის რესპუბლიკის ჩემპიონი, ეროვნული ჩემპიონატის მრავალჯერ ჩემპიონი და პრიზიორი რევაზ გიგაშვილი და მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი, აზერბაიჯანის და სომხეთის მრავალჯერ ჩემპიონი, კაკეასისა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონი მანანა მუქერია.



2019 წლის 13-19 თებერვალს ბრახილიაში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი, ამერიკის თასი “Dageki-Brazil 2019”, სადაც მონაწილეობას დასწრებულა კანადის, პანამის, გერმანიის, ჩილეს, ბრახილიის წარმომადგენლები, საქართველოდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრი მარიამ გოგიტაური და როგორც მსაჯი მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი მიხეილ ქანთარია.

მარიამმა იასპარეზა საერთაშორისო კატეგორიის ელიტარულ ჯგუფში 61 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. მარიამის წონა არის 51 კილოგრამი.

“მარიამმა წარმატებით იასპარეზა მასზე მაღალი დონის კარატისტების წინააღმდეგ, მან მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო. ძირითადი და დამატებითი ტაიმი დამთავრდა ფრედ და მსაჯების გადაწყვეტილებით უპირატესობა მიეცა ბრახილიელთა წარმომადგენელს. მარიამმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

ჩემპიონატი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ჩემპიონატის მონაწილეები, როგორც საპატიო სტუმრები, მიწვეულები ვიყავით კარნავალზე. ბრახილიელები: ორგანიზატორები და იქ მყოფნი, დიდ ყურადღებას გამოხატავენ ჩვენს მიმართ. მარიამმა ძალიან კარგად ჩაატარა ფინალური ორთაბრძოლა, მონაწილე სპორტსმენები და მაცურებლები მოდიოდნენ ჩვენთან, გილოცავდნენ, აქებდნენ მარიამის ბრძოლას, გვართმევდნენ ავტოგრაფებს. ჩვენ, ტრადიციულად, გამარჯვების ნიშნად, ჩემპიონატზე ავაფრიალეთ საქართველოსა და სამტრედიის დროშა”. – განუცხადა სენსეი მიხეილ ქანთარიამ “სამტრედიის მაცნეს”.

დაფინანსების შემთხვევაში სამომავლოდ კარატისტმა გოგიტაურმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მარტში ისრაელში და მისში უნგრეთში ევროპის ჩემპიონატებში, ხოლო ოქტომბერში – რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატზე.

*ნინო ნახიტაშვილი*



სახალხო ავთიაქის ქსელის გავართობის მიზნით საზღვრო ტიპის კერძო ავთიაქებს სთავაზობს სახლო პარტნიორობას, რომლის შედეგადაც ავთიაქი განვითარდება, გაიზარდება მისი ცნობილობა და მომსახურება. დანტარქსებულ პირებს ბიზნესში დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 574 74 74 53.

ვიქირავეთ კომერციულ ფართს სველი წერტილით, 20 კვ.მ-დან 40 კვ.მ-დე მჭიდროდ დასახლებულ უბანში. აუცილებელი მოთხოვნებია: 1 სართული, სველი წერტილის არსებობა ან გაკეთების პერსპექტივა. დანტერესებულ პირებს გთხოვთ დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 574 74 74 53.

**რედაქციის მისამართი:**  
**სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6**  
**ტელ: 599 024 111**

**სამტრედიის მაცნე**

დირექტორი	ბაქან გოგიტი
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭაბუკიძე
გამომწვები რედაქტორი	თეა ბაგვაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან ბაგვაშვილი
კომპიუტერული გრაფიკა	მეგა ბაგვაშვილი